

ოქმი N 8

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 31 მარტი
ქ. ოზურგეთი, 15⁰⁰სთ

ესწრებოდნენ:

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,

კომისიების თავმჯდომარეები: ლ. ბიგვაძე, ი. საჯაია, ნ. ტაბატაძე, ლ. თოიძე, მ. მახარობლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ. ორაგველიძე.

არ ესწრებოდნენ: თ. ნადირიძე, კ. კვაჭაძე, თ. სალუქვაძე,

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ. გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: ლევან თოიძე

ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა საკითხი და ითხოვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად საკრებულოს სხდომაზე პეტიციის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ნ. გოგუაძე - წესის მიღება ძალიან კარგია, ჩვენ ვალდებულნი ვართ პეტიციის შინაარსი გავაცნოთ საზოგადოებას.

ლ. ბიგვაძე - მერიამ უნდა განსაზღვროს რეკრეაციული ზონა.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

2. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

3. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

4. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

5. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

6. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა საკითხები და აღნიშნა, რომ დადგენილებების მიღების ვადები კანონით გაგრძელდა მ/წლის 1 ოქტომბრამდე. თუმცა პროცესები შეიძლება დასრულებული იქნას 1 სექტემბრისათვის.

აზრი გამოთქვეს: ნ. გოგუაძე - შესაბამისად კომისიებმა გააგრძელონ მუშაობა აღნიშნულ საკითხებზე.

დაადგინეს: საკითხი დაუბრუნდეს კომისიებს სამუშაოდ.


დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 3 აპრილს 10 საათზე

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა